16 მარტი, 1908 წ.

ფასი ყველგან 10 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი





№ 22



**ია ეკალაძე სოფლიდან გამორბის!.**

„გ მ ი რ ი“.

ქვეყანა ერთობ ჭრელია
და მრავალ ხიფათოვანი,
„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო ვ[illegible]რცა კლდოვანი“.
მისგან ყოველი გასწორდეს
სუსტი და ძალ გულოვანი“,
სიკვდილს გაექცა მხოლოდ-ღა
ყრმა, ი ა ე კ ა ლ ო ვ ა ნ ი.

როცა გასტეხა ერთობა
შავბნელი რისხვის ძალამა,
თავი წამოყო სოფელში
ყოველმა მაწანწალამა.
ამ დროს ისურვა „გმირობა“
თფილისის მაჩანჩალამა...
(და სოფლისაკენ წავიდა
„მწერალი“ ნაღრძობ-კალამა).

იქ შეძვრა ვიწრო სოროში
და გამუდმებით „წერავდა“,
„ყაჩაღ რაზმელთა“ წინაღმდევ
ხომ კრინტსაც ვერა ბერავდა!
მინდიაშვილი, რომ მოკლეს,
სისხლი მის გულ-მკერდს ფერავდა,
ამ ჩვენს გ[illegible]ირს, კალამ-ნაღრძობსა
სოფლათ ვინ დაიჭერავდა!

**ეშმაკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მდ. ვოლგაზე.

(ტუსაღის ფიქრებიდან).

ჩემგან შორს არის ეხლა რიონი,
მტკვარის დუდუნიც არ სწვდება სმენას,
მთის მწვერვალებიც თვალს მიეფარენ,
მოვწყდი ცელქ წყაროს ჩუხჩუხით დენას!
ნაცვლათ მდუმარეს, უცხო მდინარეს,
ვოლგას მიაპობს ,,სატყვეო ბინა'',
ქროლვა-შხუილით, ხშირის კივილით,
შორს მიისწრაფის მისცურავს წინა!
ათასში ერთხელ თუ მხვდება წილათ
პაწა ფანჯარას მივაღო თვალი,
მაშინაც სევდა არ მტოვებს სამყოფს,
გულს არ სცილდება მკაწრავი ბრჭყალი!
ვხედავ აგორდა ჰა, აგერ ტალღა
მედიდურ რხევით გაემართა ის,
თითქოს გაგვცილდა, ვერ აიტანა
ჩვენგან დარღვევა ვოლგის სიწყნარის!
მოსჩანს მინდორი თვალის წარმტაცი,
და ზედ მშრომელნი მიმოფანტულნი,
აქვე წყლის პირათ უცხო სურათი:
ტრიალს ვაკეზე—ტყე დაბურული!
მზისა სხივებიც საამოთ კრთიან,
უხვათ ისვრიან თვის ელვარებას,
შემდეგ ქრებიან, მეფობა რჩება
შუქმფენსა მთვარეს და ვარსკვლავთ კრებას!
მაგრამ მერე რა? ეს სურათები
არა სწვდებიან გრძნობას მოშხამულს,
და რაღას ნიშნავს, იმათი ცქერა
სულ სხვა იტაცებს როცა ამ ჩემს გულს?!!
როს აქ, ჩემს უკან არ აქვს საზღვარი
მშიერ-მწყურვალის ცრემლების ფრქვევას,
განა მე ძალმიძს გრძნობით შევხედო
მედიდურ ტალღის ამაყად რხევას?!!
როს კიდევ, აქვე, მორე კუთხეში
მებრძოლი კვდება ამოსდის სული,
განა მომხიბლავს თვის სილამაზით
მშვენიერება:—ტყე დაბურული?!!
როს ყურთა სმენას იპყრობს, მიწამლავს,
თვის საზარი ხმით ხუნდის ჩხრიალი,
აბა მაშინ მე როგორ მომალხენს
ვარსკვლავთ მზე-მთვარის შუქ მფენი ძალი?!!
არა! გულს, გრძნობას მთელის სიმწარით
შხამი ნაღველა გადანთხევია,
და რასაც ვხედავ მგონია თითქოს
მეგობართ სისხლი ზედ აქცევია!
თუნდაც ეხლავე ამ საკნის გარეთ
იქ, იმ ტყის ჩრდილში ამოვყო თავი,
რასაც აქა ვგრძნობ განა დამტოვებს
და გამცილდება ფიქრები შავი?!!
არა და არა! ხისა ფოთლები,
როს ნიავისგან იწყებენ შრიალს,
მათი ხმის ნაცვლათ მე წარმოდგენა
მასმენს ამ საზარ ხუნდების ჩხრიალს!
და მწვანე მდელოც დილისა ცვარით
ტურფათ საამოთ გაბრწყინებული,
ამ ცრემლების ღვარს წინ დამიხატავს,
მომეჩვენება მით დანამული!
მაშ რისთვის მინდა ამ დახშულს კედლებს
სარღვევათ ვეცე ვემსგავსო რკინას,
თუ ყველგან სადაც ყოფნა მომიწევს
ვერ ავცილდები სატყვეო ბინას?
მისთვის, რომ გარეთ ხელ-ფეხ გახსნილი,
ბრძოლის ტალღებში გადავერიო,
და ცრემლების წილ, რომ ღვრიან სისხლსა
იმათ გუნდებში მეც ჩავერიო!
მისთვის, რომ დროშას, იმ ჩემს ერთს იმედს,
მას მოწყვეტილი მტარვლისგან ძალათ,
ისევ გამოვყვე სავალ გზაზე წინ
მივეალერსო, ვიხილო კვალათ!
მისთვის, რომ კაცში ,,კაცის'' უარყოფას,
არ შეურიგდე სანამ ფეთქს გული,
და ვასაზრდოვო მომავლის სხივით
სიცოცხლე მწარე, დღეს უფერული!
მისთვის, რომ სხვებთან მეც ეს ხელები
სახევათ ვახლო საშინელს ზეწარს,
და დავინახო არე და მარე,
როს გადაიძრობს შავსა ზედ საფარს!
მაშინ მდინარეც, ყვავილთა ხილვაც,
ფოთოლთ შრიალიც, სხივნიც მზე-მთვარის,
დაატკბობს გრძნობას, გულს გაცილდება
მუდმივი დენა ფიქრთა სიმწარის!

**რ. ლეჩხუმელი.**



## ბესიკას ჩაფიქრება.

რას დასცქერ, ბესიკ, შავს მიწასა, რას აკვირდები?!
იქნებ დაეძებ შიგ ბედისა შენის ასახსნელს!
და თუ აგრეა, დამერწმუნე, ძმაო, რომ სცდები!
მხოლოდ ამაოდ შენ აშტერებ თვალებს შავს ქვესკნელს.
მას შენისთანა ბევრი, ძმაო, სხვაც შეეწირა!
დიდხანს მის წიაღს მოწიწებით ქედი უხარა,
მაგრამ რა ირგო? მთლად სიცოცხლე იკვნეს-იტირა
და გამწარებით სისხლი ოფლად ასხა და ღვარა!
ქვეყნის, ბუნების მას მშვენება არ განუხილავს,
არ უგემია სიტკბოება წუთისოფლისა,
და უმნიშვნელო საგნათ იგი მიეგდო საფლავს
საბრალო მსხვერპლი წამებისა, შრომის ოფლისა.
რად იშვა იგი? რად სუნთქავდა? რად მოძრაობდა?
რად არ დასტოვა ცხოვრებაში რაიმე კვალი,
განა არ ქმნიდა? ოფლს არ ღვრიდა? არ მუშაობდა?
რატომ ვერ ამჩნევს მას ვერც აწმყო, ვერც მომავალი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ცხოვრება მისთვის ბნელით იყო მოსილი!
თუ რამ ჩასძახეს, იმასაც კი ხელს აფარებდა:
არჩევდა დუმილს, იყო სხვისი მონა-მორჩილი
და მძიმე უღელს, შრომის უღელს დაატარებდა.
ცხოვრებამ ცხადყო, რომ ის, ძმაო, მწარედ სცდებოდა!
ვის შეუძლია წყლით აავსოს უძირო ქვევრი?!
და მისი შრომაც ამგვარ ,,წყლის სხმას'' ემსგავსებოდა!
და ამ ტაფაში იხრაკოდა მისებრ კვლავ ბევრი!..
ცხადჰყო ცხოვრებამ, მაგრამ შენთვის კვლავ სათუოა!
მერმე ეგ ხვედრი, გკითხავ, სანამ უნდა ატარო?
ნუ თუ შენ კიდევ ვერ დარწმუნდი, რომ უკვე დროა—
თავი აიღო და სიმართლე აღარ დაჭკვარო?!.
ნუ ჩასცქერ, ბესიკ, შავს მიწასა! ნუ აკვირდები!
მასში, მერწმუნე, ვერ იპოვი ბედის ასახსნელს!
მხოლოდ სხვებსავით უმნიშვნელოთ შენცა ჩაკვდები
და მიწის შვილი შიერთვები კვალად ბნელ ქვესკნელს!..

**ნ. ზომლეთელი.**



# ორი ეშმაკი

**9 მარტის კრება**

**პირველი.** არა, неужели უჩხუბრათ გათავდა?

**მეორე.** ჩხუბი არ მომხდარა, მაგრამ არც ბევრი დაჰკლებია. შეთხელებული გამგეობა და შეხუებული ურა უმრავლესობა,

უშსგავსო არგუმენტების
თოფ-იარაღში სხდებოდა,
საომრათ გამზადებული
თითის ფრჩხილებზე დგებოდა.

**პირველი.** მაშ რამ შეუშალა ხელი?

**მეორე.** რამა და ოპოზიციამ. სამაგალითო სანახავი იყო დიდებული ჭეშმარიტ ქართული ლაშქარი. შევხედოთ:

მარჯვნივ მხრიდან გამოვიდენ
„ამირან“ და ძმანი მისნი,
„უპარტიო“ დროშა მოაქვთ
თუმც ვიწროა გაანი მისი.

**პირველი.** როგორ კაცო! აკი ლევან მეტრეველი სწერდა „დასაწყისში“, რომათ ჩვენი ფედერალისტებიო კულტურულ მუშაობაშიო პარტიობას არ შეიტანენო?! მაშ შეიტანეს რაღა?

**მეორე.** რასა ბრძანებ ნათლიმამ, რომელი შეტანაა შე დალოცვილო! შეიტანეს კი არა გაიტანეს კიდევაც.

**პირველი.** მერმე ვერ შეებრძოლეთ ასეთ უკუღმართობას?

**მეორე.** შინაც რომ უკუღმართობა გაგიჩნდება გარეშეს როგორღა გაუძლებ გენაცვა! როგორც გითხარი

მარჯვნივ მხრიდან გამოვიდენ
„ამირან“ და ძმანი მისნი
აქეთ მოხევე წამოხტა,
ცასა სწვდება ხმანი მისნი,
ხუთი საათი იყვირა
არ დაღლილან ყბანი მისნი.

**პირველი.** ახირებული კია ღმერთმანი ამ მოხევისა და ირაკლის საქმე. აქაო და მაგარი ყბები გვაქვსო, ლაპარაკს აღარავის აღარ ანებებენ, ხოლმე.

**მეორე.** ღვთის წინაშე, სოსიკო მერკვილაძეც ორ-სამჯერ წამოიქოჩრა, მოპართა იერიქონის ტრუბა და კინაღამ ებღლვნა მოხევეს.

**პირველი.** ხომ გაგიგონია: „უგუნური მეგობარი მტერზე უარესიო?“.

**მეორე.** არ გამიგონია ძმაო, მაგრამ პრაქტიკაზე მინახავს და ეს ხომ უკეთესია.

**პირველი.** „ამირანის“ ფალავანი ვინ იყო თუ ძმა ხარ?

**მეორე.** „ამირანმა“ რცხილაძე გვკრა,
(მას შეურცხვეს თავი თვისი!)
დეკემბრისას აღარ გავდა
დღევანდელი ღაღადისი.

**პირველი.** ვითომ და რისთვის გაგიკვირდა გიორგისაგან ესე ვითარი ღაღადისი?

**მეორე.** თითონ არ ვიცი შენ არ მომიკვდე, წარმოიდგინე რცხილაძისაგან მაინც არ მოველოდი

ეგზომ ურცხვს და თავხედ კილოს
„მოღვაწისთვის“ სათაკილოს.

**პირველი.** ვითომდა რა მინდაო?

**მეორე.** რა ვიცი რა მინდაო, მაგრამ ამბობენ რაღაც ოხერი „ნევრებია“, ის მოშლიაო და როცა ახლად ჩაწერილმა წევრებმა გამგეობის არჩევნებამდე ითხოვეს დამტკიცება ე. ი. საზოგადოებაში მიღება, გიორგიმ კრილოვის ჭიანჭველასავით მოახსენა:

„რას აკეთებდით, ძმობილნო,
ოცდა რვა წელი ველათა?
თქვენი სურვილი მე მიჩანს
„საექვო სადირელათა“.

**პირველი.** მერე ვერ მოახსენეთ ნერვებ აშლილ მოღვაწეს

„თქვენ რა შეჰქმენით გიგო-ჯან
ამ ოცდა რვა წლის შრომითა?
მხოლოდ შარვლები დასცვითეთ
თფილ სოროებში ძრომითა“ თქო.

**მეორე.** ვინ დაგაცალა ძმაო ლაპარაკი, თორემ სათქმელი არა ერთი და ორი იყო. წამოიწყებდა მოხევე და დასასრულს აღარ მისცემდა.

**პირველი.** ის ბერძენიშვილი რაღა ცხოველი ყოფილა?

**მეორე.** აბა რა ვიცი, ნათლი ჯალაბო! მოგეხსენება: ჯახი და ჯუხი კრებაზე
ჩვეულებრივი სენია,
მაგრამ ეს ბერძენიშვილი?!
სწორეთ ჭკვას გადასცდენია.

პირი კი გაალო ამ დალოცვილმა და იქიდან რა ამოვაო იმას ისე არ დაგიდევს, როგორც ჩინეთის იმპერატორის საქმეებს. დაინახა „შავი“ ხალხი და „ეს ვინ მოურეკიათო“ წამოიხმატკბილა.

**პირველი.** მერე გიკვირს? კაცო მაგას ხომ „საპონი“ სახელოსნო აქვს და მუშებს საშინლათ იმასუშობა. მუშებმაც ერთხელ გამოაიმასქნეს თურმე და ახლა ამან გააიმასქნა ასე საშინლათ.

**მეორე.** აჰაააა! აი თურმე სად მარხია ძაღლის თავი!

**პირველი.** ხმები დადიან მესხიშვილმა ისახელა თავიო! ნეტა თუ მართალია?!

**მეორე.** მესხიშვილმა, მაგრამ შვილმა, მართლაც რომ გადააჭარბა ყოველივე მოლოდინს.

ანდაზა ამბობს: როგორც ქუხს
ხშირათ ისე არ წვიმსაო“
და ეს თქმულება სავსებით
უდგება მესხიშვილსაო.
„ლამაზი გუდაც“ დაიჭერს
ღვინოს მჟავეს და წკლატესო,
მაგრამ ვაჟარი ღვინისა
გუდის „შნოს“ როდი დასდევსო.

**პირველი.** ბრიგინ ბრიგინით დაიწყო, არა?

**მეორე.** კაცო, რომელი ბრიგინ-ბრიგინია, გეგონებოდა ამ კაცს მთელი ქვეყნის ამერიკები, ევროპები და აფრიკები თავში უძევს და ახლა „ბერეგის“ ყველამო.

**პირველი.** ჰმ! წარმოდგენილი მყავს!! როგორც კრილოვის არაკის ცარიელი ბოჭკა, ისეთი სანახაობა იქნებოდა.

**მეორე.** ვაა! რომელი ბოჭკაა ძმაო, მიწა იძრა მეგონა, მაგრამ ხომ მოგეხსენება ფუქსავატ ბაქი-ბუქობას მოკლე კანჭები აქვს და როცა კოწია ჯაფარიძემ ხმოვან ,,ორატორს‘‘ გახურებულ ბოჭკაზე ცივი წყალი გადაავლო, იმ კნეინებსაც კი შერცხვათ, რომლებსაც მესხიშვილის ,,მოხაზულობამ‘‘ ხუთიოდ ტაში გამოსტყუა. თურმე ნუ იტყვი ლაპარაკი დღიურ წესრიგის შეცვლაზე ყოფილა და ურა ორატორს დღიური წეს-რიგი კანონ-პროექტათ მოსჩვენებოდა.

**პირველი.** თითონ მესხიშვილს შერცხვა?

**მეორე.** რა მოგახსენო, მე სამაგისო ვერაფერი შევატყვე, მაგრამ ხომ მოგეხსენება:

წამხდარსა საქმეს არ არგებს
მერმეთლა თითზე კბენანი?
უმჯობესია წინათვე
დათრგუნო სიტყვათ ფრქვევანი.

**პირველი.** თავმჯდომარე ვინ იყო თუ ძმა ხარ?

**მეორე.** თავმჯდომარე არ ყოფილა. ვისაც როდის და როგორ უნდოდა, რასაკვირველია თუ დიდი ხმა ჰქონდა, ისე ლაპარაკობდა. ვიღაცა თავქარაძემ ბევრი იყვირა: ჩვენ თავმჯდომარე გვყავს, ყველაფერი იმან უნდა გადაწყვიტოსო, უნდა დაგვიფაროს ,,მტრებისაგანაო‘‘, მაგრამ ,,თავმჯდომარეს‘‘ საათში ოცდაათი პარასკევი ჰქონდა და ვინც როგორ ეტყოდა ისე იქცეოდა.

**პირველი.** საქმე რით გათავდა?

**მეორე.** რითა და ხმის უმეტესობით. გამგეობაში აირჩიეს ყველა ,,უპარტიო‘‘ ფედერალისტები, თავმჯდომარეთ კი ღენერალი ყაზბეგი.

**პირველი.** მაშ ამის შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოების საქმე კარგათ წავა.

**მეორე.** ,,უპარტიო‘‘ კი იქნება, რადგან სულ ერთი პარტიისანი არიან; წესსა და რიგს თავმჯდომარე კარგს დაამყარებს და მეტი ჩვენ რაღა გვინდა!

**პირველი.** ახალი წევრების მიღებაზე სამსონ ძლიერმა მართლა ჩაიიმასქნა?

**მეორე.** კიდეც ჩაიიმასქნა და კიდევაც გააიმასქნეს! ,,წევრმა სამი მანეთი ერთად უნდა წამოყაჭოს, რას მიქვია განაწილებაო‘‘, იძახოდა სამსონ ძლიერი.

**პირველი.** ალბათ ერთობ აშკარა სიყალბე იყო თორემ აღარ დაზოგავდა თავის ძლიერებას.

მეორე. ბარემაც რომ არ დაუზოგავს მაგრამ კოვზი მაინც ჩაუვარდა ნაცარში და 347 ახალი წევრი მიიღეს.

პირველი. მადლობა ღმერთს!



## მესტვირული

დაუკარ ჩემო ქამახჩავ,
მოყევი შენებურათო,—
ამ გაზაფხულზე ბათუმი
მინდა რომ დავასურათო.
ვიცი რომ ბევრი დამრჩება
ამ თქმაზე უმადურათო,
მარა თუ სურდეს იხტუნოს,
შევარდეს კალმახურათო,
მე ჩემსას მაინც არ ვიშლი
მათდამი სამსახურათო.
ბათუმის ქართულ საღამოს,
ნეტა რა შეხვდა სენიო,
სად გაიპარა ნივთები,
ან ფული დანარჩენიო,
ვინ დაიტაცა ჟეტონი,
ვის ქონდა მინაჩენიო!
ან თუ მოსთხოვეს პასუხი,—
რა უყავ, ან რა ქენიო?
ვის ერგო ფარჩა ქსოვილი
საბლუზეთ დამამშვენიო?
ამათ რა მსჯავრი დავადოთ,
რა სოის განაჩენიო?
მათრახის კუდი უცხუნე,
ეშმაკ ჯან, ერთი შენიო!

**ბლიკვაძე.**

---

## კვინწარი ეშმაკის მიერ ნახული და გაგონილი ბათუმში.

ძალიან კარგი ყოფილა ხანდახან გაეშმაკება. მოისურვებ-უჩინარი გახდები, სადაც გსურს, ერთ წამში იქ ამოყოფ თავს, ვისაც გინდა „საგმირო საქმეთათვის“ კუდინს მიაღებინებ, ვსაც გსურს— მათრახის კუდს წაუთავაზებ. ადგიხარ თავზე სამათრახე არსებას, უწყვიტინებ რბილ ნაწილზე იარალს, ხედავ მას, თუ როგორ საშინლათ იწმაწნება, მარა მათრახის კუდის სიმწვავეს მაინც ვერსად ემალება; უცქერ, თუ როგორ აცეცებს გაკვირვებით თვალებს, მარა ვერ გხედავს. შენ კი იცინი, იცინი კვდები სიცილით და სანამ იმდენს არ მიართმევ, რამდენის ღირსიცაა, არ შორდები. დიახ, კარგი ყოფილა ეშმაკობა და მივიღე რა დიდი ეშმაკისაგან ფიცხელი მოწერილობა ჩამომევლო ჩემი რაიონი, მეც დავამზადე რამდენიმე ათასი საწყავი კუდინი, მოვსინჯე იარაღი და ქრისტეს დაბადებიდან წელსა ათას ცხრაას რვასა შევუდექი დანაკისრებ საქმესა.

**ბათუმის კლუბში.**

კლუბი ესე საბუდარია მცონარე ხალხთა. ჟამიდან შეღამებისა, ვიდრე გათენებამდე იქ სამათრახე არსებანი, მხცოვანნი და ჭაბუკნი, ეწევიან სამაგალითო ჰიდაობასა ოთხკუთხედ სხვა და სხვა ფეროვან სქელ რამე ქაღალდებითა, რომელთა სახელი ყოფილა კარტი. ჰიდაობა ესე წარმოებს ამ რიგათ: შემოუსხდებიან სტოლსა რამდენიმე მოჰიდავენი, ერთი მოჰიდავეთაგანი ჩამოარიგებს აღნიშნულსა ქაღალდებსა. გაისმის „პას“, „ფრაპი“, „ასისტ“ და მსგავსი დიდებული ტერმინები, რომელთა სავსებით ახსნა ამა მეოცე საუკუნის მეცნიერებასა ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია. საღამოსა ერთსა შეველ საჰიდაო დარბაზსა ბათუმისასა. მივავლ-მოვავლე თვალი და ვიხილე მუნ სტოლების ირგვლივ შემომსხდარნი მოჰიდავენი, თავჩაქინდრულნი და ჩაფიქრებულნი მძიმეთ, ვითარცა მეცნიერნი დიდისა რამ საქმისა გამომგონნი. ვიცან სტოლთანა ერთსა მჯდომარენი, რომელთა სახელი პოლიტიკურითა ენითა იწოდების ფედერალისტებათ. მიველ მუნ და ჩამოვჯექ ყურსა სტოლისასა მომარჯვებული იარაღითა ჩემითა. დიდხანს აპარტყუნეს ქაღალდები იგი. ანგარიშმა საბოლოო გამოარკვია, რომ ფედერალისტსა ერთსა წაუგია ჰიდაობა ორასისა ქანქარისა სახითა. შეწუხდა და მეც შევწუხდი. მოვმართე იარაღი და შევახე რბილსა ნაწილსა მისსა. შეუხტა და თვალთაგან სათვალე

ჩამოუვარდა, დაილუნა ასალებათ და კვლავ მოვცხე კუდი მათრახისა. შემდეგ ამისა ყველას ჩამოუვარე და ორ-ორჯერ ყველას წავუთავაზე. შეიქნა ჩოჩქოლი და მდგომარეობასა ასეთში დავტოვე იგინი.

## ლექციებზე.

ყველა, ბათუმის თვითმართველობის დარბაზისაკენ, მიეშურებოდა. მეც ავედევნე მათ. ბილეთების გამყიდავმა ვერ დამინახა, მარა შაურიანი მაინც გადავუგდე და დარბაზში შეველ. მსმენელნი ბლომათ იყვენ. ერთი ვინმე ვაჟი რაღაცაზე (როგორც მერე გავიგე—თურმე მათემატიკაზე) ლექციას კითხულობდა. წინ, სტოლზე, წყლით სავსე გრაფინკა ედგა და მეც იმ გრაფინკაზე შევცუცქდი. ყოველ შემთხვევისათვის იარაღი მოვიმზადე. მაყურებლებს თან და თან ჩაეძინათ. სულო ცოდვილო, მეც ქე ჩამეძინა. წარმოუდგინეთ, ისე გაუგებრათ კითხულობდა, რომ ეშმაკმაც კი ვერ გავიგე. ერთი ტაშის ცემა მომესმა. გამომეღვიძა და ლექტორი უკვე წასულიყო. დავეწიე კარებთან და ვუცხუნე. სიმწარისაგან რბილ ნაწილზე ხელი იტაცა და გაიქცა. მოვუცვალე და ამასობაში გავარდა გარეთ.

ზარის წკარუნი შემომესმა. ვკლავ გაივსო ხალხით დარბაზი. შემოვიდა სათვალეებიანი ლექტორი. იწყო გადამდებ სენებზე კითხვა. მდაბიურათ კითხულობდა და ხალხი სულგანაბული უსმენდა. ვიფიქრე—აქ იარაღი არ დამჭირდება მეთქი, მოვკეცე და ქამარში გავირჭვე. თავზე ხელი შემოვიდგი და მეც სმენათ გადავიქეცი.

— „როგორც ჟანდარმები იცავენ წესიერებას სახელმწიფოში, ისე ლეიკოციტები იცავენ ორგანიზმს მავნე ბაცილების თავდასხმისაგანო“, მასმინა ლექტორმა. ხალხში მოძრაობაა. ისეთ შედარების მოყვანისათვის ეს პატივცემული გვამი სწორედ ღირსია მათრახის კუდის ცხუნებისა მეთქი—ვიფიქრე, ვიძვრე იარაღი და მოვცხე ცხვირზე. ემწვავა და ცხვირსახოცი მოისვა. კვლავ მოვცხე და ჩადგა კალაპოტში.

## „ბატუმსკი გოლოსის“ ასოთ ამწყობებში.

ბევრი კარგი მსმენია ბათუმელ ასოთ-ამწყობებზე, მსმენია, რომ ამ პატივ-ცემულ გვამებში ბევრს უყვარს ნუნუას ზედმეტი ჩაცეცხლვა, ურთიერთ შორის სოლიდარობის დარღვევა და სხ. მეც განვიძრახე მათი დათვალიერება და ვესტუმრე „ბატუმსკი გოლოსის“ ასოთ-ამწყობებს. ამ ყმაწვილებს არტელი შეუდგენიათ და ყველა გაზეთის გამომცემელი გამჴდარა. მარა რადგან შემოსავალი „იოხტურათ“ ქონებიათ, დღე და ღამ მუშაობენ, მარტო წყალსა და ხმელ პურზე გადადიან, ერთი სიტყვით— დიდს გაჭირვებას განიცდიან. ჰო და ვეახელ მათ და ერთ-ერთ კასაზე დავცუცქდი. შემოდის ყოფილი თანამშრომელი „იაკ-გრანდ-არგონავტად“ წოდებული და მეტრანპაჟს, იგივე რედაქტორ-გამომცემელს, რაღაცას ვუბნება, ორივენი გაცხარდენ და ხმას მოუმატეს. გავიგე, რომ „იაკი“ ხვედრ გონორარს თხოულობდა. შელანძღ-შემოლანძღეს ერთმანეთი და „იაკი“ წავიდა. მას გამოუდგა რედაქტორი, დაეწია და ისე თავაზიანათ შეეხო რომ „იაკი“ ტროტუარზე გაიშხლართა. უცებ გავჩნდი მათთან. რედაქტორს ერთი საწყავი კუდინი ჩავასხი ხახაში და იარაღი ათჯერ წაუწყვიტინე. ეცხუნა და უკან გამოიქცა. წარმოიდგინეთ, რედაქტორის მუშტობიამ ეშმაკიც კი გამაოცა. გაოცა თუ არა სოსიკო, ეს ჯერ არ ვიცით.

## საღამოს კურსების გამმართველ სექციის კრებაზე.

ყურებსა ჩემსა ესმა, რომ საღამოს კურსების გამმართველი სექცია დეკემბრიდან ადგენს კურსების პროგრამას და ჯერ კიდევ ვერ მოუთავებია. ავიღე იარაღი და ვესტუმრე კრებასა ამა სექციისასა და მასწავლებელთა. ყურსა ჩემსა ესმა დაუსრულებელი „რეჩები“ კურსებზე ყველა საუკუნოების ფილოსოფიისა და სხვა დიდ საგნების სწავლების შესახებ. ცხადი შეიქნა, რომ ამოდენა „რეჩბს“ ჩაენთქა კურსების დაწყების საქმე. მოვმართე იარაღი და შევახე დაუსრულებელ „რეჩების“ მლაღადებელთა ბეჭებსა. ეცხუნათ და ჩაჩუმდენ. ამავე კრებაზე შევამჩნიე, რომ თუ ზოგიერთები დაუსრულებლივ „რეჩობდენ“, სამაგიეროთ სხვა ზოგიერთები დაუსრულებლივ სდუმდენ. ამათაც წაუწყვიტინე შეკრულ ბაგეებზე. მარა შევცდი: ამ წაწყვიტინებამ სულ დაამუნჯა იგინი.

**კვინწარი.**



## პ ა ტ ი მ ა რ ს.

(სიღნაღის ციხეში)

გამარჯობა ძმაო თუშო!
გულშა ჯავრი არ ჩაუშო,
საქმე რიგზე მიმავალი
არ დაშალო, არ დაფუშო.
ბრიყვებს ჩვენი შური, მტრობა
და სიკვდილი უძევთ გულში!
მაშ ჩვენც დავხვდეთ ვაჟკაცურათ
ჩავეწეროთ გმირთ ფერხულში.
ვით იუდამ წმინდა მცნების
მოციქული გასცა ფულში
მსგავსათ „შავი რაზმელები“
დღეს არიან სიხარულში...
მაგრამ, ძმაო, ფუჭი არის
მათი ცემა და კუნტრუში
ბულბულათ ვერ გარდიქცევა
ვერასოდეს თუთიყუში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგიანათ შევისწავლოთ
რაც კი კარგი ჩაგვწვდეს ყურში
და სიცოცხლე გავათავოთ
ტანჯულ ხალხის სამსახურში.

**მ. ლელაშვილი.**



## ივანის მდგომარეობა.

I

სოფლის ბოლოს დგას ქოხმახი
ჩალა ისლით დახურული,
უდერეფნო, კედლებ შავი,
მჭვარტლისაგან გამურული.
კედლები გამობერვია,
თითქოს უნდა წამოწოლა...
სახურავსაც ჩანს ქონია
ბუნებასთან დიდი ბრძოლა.
არც ბოსტანი, არც ვენახი,
ეზოთ ახლავს ცოტა ველი,
არც საქათმე არც სადორე
არც საბძელი, არც ბეღელი.
ან ვინ მისცემს ყველა ამას
ქოხის პატრონს ივანესა?
მუდამ მშრომელს მუდამ მშიერს
და მკვნესარეს მუდამ დღესა?
ეს რომ ქონდეს ხომ დაუხვდა
ურცხვენელათ მტერ მოყვარეს,
მაშინ ქვეყნათ ვინ იტირებს
ღვინ დაღვრის ცრემლს მდუღარეს?
ეს რომ ქონდეს მაშინ მანაც
ხომ არჩინა ცოლი-შვილი,
და ხომ ნახა მანაც სხვებთან
წუთი სოფლის გემო ტკბილი!
ეს კი როგორ შეიძლება?!
ჩვენი მტრის ყურს გააგონოს!
„ღმერთმა ერთი რათ წაწყმიდოს,
თუ მეორე არ აცხონოს?“

II

ლურჯ კაბას შლის გაზაფხული,
იმოსება ტყე და ველი,
ხარობს მიწა და იცინის
მეჯლისშია გარს ყოველი.
ივანე კი გულ-მომკვდარი
კერას უზის ცეცხლ ჩამქრალსა,
ხან ცოლს უმზერს წივებ შემწვარს,
ხან ლოგინში მკვნესარ ქალსა.
სხვა წვრილ შვილებს თვალს არი-
დებს,
არ უყურებს იმათ ტანჯვას,
უცეცხლობით კანკალს, კრუნჩხვას
და შიმშილით გრეხა-პრანჭვას.
ან კი როგორ მოიცალოს
და დაუგდოს მაგათ ყური,
როცა შავთა ფიქრთა გროვას
მის გულში აქვს თფილ სადგური.
გარს არტყია, ღრღნიან, ჭამენ,
უმწარებენ ამ ქვეყანას,
დღე და ღამე თან დასდევენ
უმღერიან მწარე ნანას.
დღეს სიმინდიც გაუთავდა,
ვერ უნახავთ ვერც ერთ ტაროს,
გაზაფხული და ზაფხული
ყიდვით უნდა გაატაროს.
ჯერ ისიც არ გადუხდია
რაც აიღო შარშან ვალი,
რომ თავიდან მოიშოროს
შიმშილობა მომავალი.
წელსაც უნდა დაუმატოს,
მარა ვისგან, ვინ ენდობა?
ვინ ასესხებს ღარიბ-ღატაკს,
ვინ იქნება მას ეძმობა?!
გაჩენიდან ღარიბ მამას,
ძლივს მოესწრო პირმშო შვილი,
ორიოდ გროშს აწოდებდა
სამხედროში გამოწრთვნილი,
ის მოსავდა და-ძმას, მშობლებს,
ისტუმრებდა ვალ-ბეგარას,
მარა როცა დავაჟკაცდა
ისიც მოსწყდა მამის კერას.
მღვდელიც ითხოვს დრამა-ფულსა,
„ნედოიმკას“ ბოქაული,
ყველა წკნელით იმუქრება,
ქვათ ქცევია ყველას გული.
ვის გაუწვდეს, ვის ეკმაროს
ვისი რიხსა აიცილოს?
ან ერთი და ან მეორე
რითი უნდა მოიცილოს?
უარს ვერც ერთს გაუბედავს
ვერც მოვალეს, ვერცა ხუცესს,
ვერც ბოქაულს, „ზეკუციას“
და ვერც მშიერ თავისს მუცელს
აგერ დგება გაზაფხულიც,
დაიწყება ხვნა და თესვა,
ეხლავ უნდა კავს გასინჯვა
სახნის საკვეთს გადალესვა.
ივანეს კი ამათგანი
აღარა აქვს აღარც ერთი,
წუთი სოფლის მოძულებულს
იმედათ ყავს მხოლოთ ღმერთი.
არც მიწა აქვს რომ დათესოს,
მოიწიოს სარჩო წლისა,
მჭადი მაინც არ მიაკლოს
შიშველ-ტიტველ წვრილ ცოლ-
შვილსა.
ეხლაც ფიქრობს ვის მიმართოს,.
ვისი მიწა თესოს, ბაროს,
მესამედათ ,სანახევროთ
ან თუ როგორ ჩაიბაროს?
ვის წინაშე დაიჩოქოს,
შეავედროს ოჯახ-თავი
და ვის თხოვოს ხარ კამეჩი,
ფარცხი, თესლი, უღელ-კავი.
ყველა ეტრფის გაზაფხულსა,
ყველა ელის შვება ლხენას,
ივანე კი ოჯახობით
ჩასცქერია მიმქრალ კერას.
არსაიდან აღარ უჩანს
სასოება და იმედი,
და ფიქრობს რომ სამუდამოთ
მიმქრალია მათი ბედი.

**ვ. მალაქიაშვილი.**



## ნ ა ტ ვ რ ა

(ნიგოითელი თავადისა).

ნეტავი ჩემი სასახლე
მიმალულ ადგილს ამეგო,
სტუმრათ არც სხვასა ვსწვევოდი,
არც სხვისთვის კარი გამეღო.
ძილის, მრუშობის, ქეიფის
სიცუდე დროზე გამეგო;
ცოლიც ისეთი შემერთო
ლოგინი ჩემთან დაეგო.
იმ ჩემს დამღუპველ მტერსვს
დაბრმავებოდა თვალები,
და ბანკებს, ცოდვით აღსავსეს,
ჩამონგრეოდა კარები
ჩამოკვთხოდი ხუნხუზებს
და იმათ ლიდერობასა,
არ დამედუა არც შვილი,
შინ შემეჩვია შრომასა
ნეტავი ჩემი სასახლე
მიმალულ ადგილს ამეგო
ვეღარ დავმალე წუწკობა
ბოლო დროს მაინც გამეგო.

**შხანკოლა.**



ლეჩხუმელი თავადი მუშაობის დროს.

(სახსოვრათ მიხეილს).

დიდხანს ძღებოდა სხვის ნაოფლარით,
ლხინით, ქეიფით სტკბებოდა მარად,
და შრომის შვილის, მის წინ მოხრილის,
ტანჯვა-წვალება მიუჩნდა არად!

—

,,წავიდა რიგი, გაჰქრა დრო იგი'',
მონამ დასტოვა სულთა მხუთავი,
გაუქრენ დღენი ნეტარებისა
დაეპატრონენ ფიქრები შავი!

—

ირგვლივ ზიზღს ხედავს და ბრაზ მოსული
ვით ტყის ნადირი ისე ღრიალებს,
სახე სხვა გვარათ გამოეცვალა
გიჟური ხედვა დასჩემდა თვალებს!

—

წინეთაც ნაცნობს თოფს და დამბაჩას
დაუძმობილდა ეხლა მეტად ის,
სულ მთლად ტყვიებში გამოეხვია
და ასე სძინავს—ასევე დადის!

—

მუშაობასაც ასე ასრულებს
აბჯარი მუდამ წელზე აბია,
მხოლოდ თიბვის დროს ასე ვერ ზიდავს
და თოფი ბაწრით ფეხზე აბია!..

—ი.

ოზურგეთი ეძებს მამებს.

ოცი მარტი მოახლოვდა...
ოზურგეთი ეძებს მამებს,
ვინც გადამწვარ იმის გულ-მკერდს
მოალბობს და დაამებს.

ახლაც კი ჰყავს „პატრონები“,
მაგრამ... ვაი ასეთ ყოლას!
მე ვერ ვბედავ მცირე ლექსში
იმათ „ღვაწლის“ ჩამოყოლას.

მათში თითქმის ორ მესამედს
წარსულისკენ მიაქვს პირი
ხოლო „თავზე“ ასე ითქმის
„კედელს ცერცვი“ და „ნახშირი“.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას
ულვთოდ სტანჯავს „მაჯლაჯუნა“,
ოზურგეთის ბულვარს ამკობს
სტრაჟნიკების ცხენის . . .

ქუჩებზე და მოედანზე
მუხლამდე დგას ტლოპო, ლაფი..
თუ თქვენც იტყვით, ამისთანა
მამებს დავასხი ........

ბოგირები ბოგას არ გავს,
სამკითხველო, სამკითხველოს!
ეჰ, სად არის კაცი, თორემ
ზურგი უნდა აგიჭრელოს.

სულ ოცი დგას მთელ ქალაქში
გაშანთული სანათური
და მან უნდა გაგვიწიოს
ღამით მთვარის სამსახური.

მაგრამ რომელ ერთს მოგიყვეთ
ათასია მოსათხრობი...
განახლება თუ სურს ქალაქს
ჯერ „თავია“ მოსაძრობი.

და კბილებიც თავს გაჰყობა
ჭირიანი თუ უჭირო,
ამისათვის შრომა უნდა,
საქმე უნდა გაიჭირო.

ოცი მარტი მოახლოვდა,
ოზურგეთი ეძებს მამებს,
ვინც გადამწვარ იმის გულ მკერდს
დაუტკბობს და დააამებს.

—კი

## პროვინციის მოღვაწენი



**ივანე შარაშიძე**

(ხონი)

ხონს ქალაქობის აჩრდილი წამოეჩვენა დ „მამე-ბის“ ძებნას უკვე შეუდგა. (ტელეგრ.).

ივანე სიმონის ძე შარაშიძე ხონის უპირვე-ლეს მოღვაწეთ შეიძლება ჩაითვალოს. ივანეს სი-ტყვა ხონელი „ბურჟუაზიისათვის“ ზაკონის კანო-ნია. როგორც ზეპირ გადმოცემა (და შეიძლება ისტორიული საბუთებიც) მოგვითხრობს, ივანეს მე-ოხება-მოხერხებით დაარსდა ხონში: საოსტატო სე-მინარია, სამოქალაქო სასწავლებელი, ჴარინეს სა-სწავლებელი, სახელოსნო სასწავლებელი, ქალთა და ვაჟთა პროგიმნაზიები; მისივე წყალობით გა-მოიყვანეს ცხენის წყლის არხი და სხვა მრავალი.

ივანეს დიდი გაცნობილობა აქვს თანამდებო-ბის კაცებში. უბრალო ინსპექტორიდან დაწყებუ-ლი ვიდრე საოლქო მზრუნველამდე და საოლქო მზრუნველიდან ვიდრე უბრალო ინსპექტორამდე ყველასთან ისეა როგორც თავისი კაცი.

როგორც ყოველი „კულტურული“ მოღვაწე ის უპარტიო კაცია, თუ საქმე ს. დ. არ ეხება. მაშინ კი ივანე უთუოდ განსაზღვრულ პოზიციას იჭერს, რასაკვირველია გარეშე „სამშობლოს მო-ღალატეთა“.

„ფართე“ ნაცნობობა საშვალებას აძლევს ივა-ნეს დაბალ მოხელეთა გამორიცხვა დანიშვნაზე და საზოგადოთ მათ ალმატება დალმატებაზე გავლენა იქონიოს. ამ საშვალებით ის კიდევაც სარგებლობს და თუ მისი თაყვანის მცემელი ხარ „კალთას უხვე-ბისასა „არას დროს არ მოგაკლებს. ერთი „ღირსე-ბათაგანი“ მისი სიმპატიის დამსახურებისა არის აგ-რეთვე ს. დ. სიძულვილი, რომლებიც თითონ ივა-ნეს ისე უყვარს, როგორც მართლ-მორწმუნე მაჰ-მადიანს ღორის ხორცი.

მოძრაობის დროს ივანე განზე იდგა, როგორც ყველა ხონელი „ჭკუიანი კაცი“. ბოროტი ენები ათას რაღაცას იმას შობიან მის შესახებ, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს სურვილი მათ ნაიმასქნარს კუდი გამოვაიმასქნათ. ერთხელ, მაგალითად, ჩემის თვა-ლით ვუყურე, როგორ იცავდა ივანე მიწის სოცია-ლიზაციას, მაგრამ რეაქციამ სხვა ვინ დასტოვა ძველ ჭკუაზე.

ბოროტი ენები იმასაც მოგახსენებენ, რომ ივანე შარაშიძე უმთავრესათ თავმოყვარეობისა გა-მო იღწვის და თუ ნაღვაწი არ დაუფასე, შენზე ვერასოდეს გულს ვერ მოიბრუნებსო. თითქო ისიც შეუნიშნავთ, რომ თუ საქმე მისი ინიციატორობით არ დაიწყო არა თუ დაეხმარება, ხელსაც კი შეუ-შლისო. ამის მაგალითად ასახელებენ სამკითხველო წიგნთ-საცავს და თეატრს.

ამგვარათ თუ მართლა ხონს ქალაქობა ეღირ-სა, მისი ბურჟუიკები იმედია ივანეს ღვაწლს არ დაივიწყებენ და ქალაქის თავათ დაასკუპებენ.

**მალი.**

---

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა

**„ეშმაკის მათრახს“.**

ვინ ,,ეშმაკისა მათრახი‘‘,
ვინ ახობაძის რეკლამა?!
ნუ თუ გაგაღდა ,,კუდიანი‘‘
დასცარა ფულის ძალამა!

შხანკოლა.

—

**პასუხი შხანკოლას.**

,,სპერმატინ‘‘—ახობაძისა
აროდეს გვითქვამს ქებანი,
დავბეჭდეთ მხოლოდ **მისივე**
რეკლამა განმარტებანი,
ჩვენ მუდამ ვამბობთ: ვერ მოგცეთ
ამა სითხემან შვებანი,
მხოლოთ-და იგრძნოთ ჯიბეთგან
უზომო ქანქართ კლებანი.

---

# წერილები ეშმაკისადმი.

**ფოთი.** საქმე იმაშია, ძმაო ეშმაკო, რომ ფოთში თუ ჩამოხვიდე და ბულვარში განიზრახო გასეირნება უთუოდ გიმნაზისტურათ უნდა მოირთო. ყველა ბარიშნები შენ დაგეხვევიან, როგორც პეპლები სინათლეს.

მაგრამ ამასთანავე საჭიროა გაუფრთხილდე „გოროდისტებთან" შეხვედრას, რადგან აუცილებელია „რომანიულ" ნიადაგზე შეტაკება და ვაი შენს გვერდებს! ამდენ ხანს ზამთარი იყო და ახლა რომ „пробужденіе весны" დაიწყება, ენერგიაც მოიმატებს.

**პახუმა.**

—

**ხონი.** ძმაო! ნუ თუ არ იცი, რომ ხონის სამკითხველო წიგნის მაღაზიაზეა მიდგმული და მაღაზიის პატრონი იგივე და იგი ბიბლიოთეკარია. არც გასაკვირია ამის გამო, რომ სამკითხველოში ხშირათ ყურთა სმენა არ არის და ამასთანავე გამგეც ხანდის-ხან თუ შემოიჭვრეტს ხოლმე. ერთი მათრახის კუდი კი ეკადრება ამ ბიბლიოთეკარს თუ შენც არ გეწყინება და არ დაგეზარება.

რაიცა შეეხება „თავფეხისტებს", მათი საქმე სულ უმჯობეს უკეთესდება. ამ დღეებში კრება ჰქონდათ ხონში და გადასწყვიტეს ყოველგვარი შემოსავალის სამი მეოთხედი მათ მიირთვან, ხოლო დიაკვნებმა. მეოთხედი 19 კაცში (უკაცრავათ მღვდელში) 16 გამოდგა ამის მომხრე და ამით გადააჯირგალეს „ერთობის" დროს დაწესებული სამართლიანი განაწილება. რაღა თქმა უნდა მათთვინაც ვარ მთხოვნელი თუმნის არა, თითო მათრახის კუდისა მაინც.

ხონის გაქალაქებაზე კარგა ხანია აქ ლაპარაკობენ და ქალაქის მამების ძებნასაც შეუდგენ. თავათ, როგორც მოსალოდნელი იყო, ცნობილ ექიმპედაგოგ-ფინანსისტ მათე ბახტაძეს ასახელებენ, ხოლო თანაშემწეთ მხცოვან ლოტის მოთამაშე ივანე შარაშიძეს. ენერგიის მოსამატებლათ ორივეს სჭირია თითო სტაქანი „სპერმაკუდინი" და ნუ დაზოგავ.

„სმოტრიტელი" მაჭარაძე ძლიერ გულ-ნატკენია, ძმაო ეშმაკო; იმ უცნობ „№ 1"ისა, რომელმაც ნაპოვნი მისი წერილი გამოაქვეყნა. საშინლათ აუშალა თურმე „ნევრები" გაფაციცებით ეძებს „№ 1". თუ იპოვა შენი მტერია იმას დღე დაადგება.

საზოგადოთ ხონის ცხოვრება ერთობ მოშვებულ-მოდუნებულია:

ცალკე შიმშილი კარს გვიკაკუნებს
ინფლუენციამ გაგვავლო მუსრი,
ხულიგანობამ გაშალა ფრთები
„ერთობის" ძალის დაეცა კურსი.

**გუ—გუ.**

—

**ოფიშქვეთი.** თუ ჩვენებური ბაში-ბუზუკების არ გეშინია, ძმაო ეშმაკო, ერთი ჩვენკენაც ჩამოიარე. მართლაც და სიმონ კეპულაძემ მამასახლისობის დროს რა ხეირი დაგვაყარა რომ, ახლა, მიკიტნობის დროს დაგვზოგოს?! ან დარაჟდენ მოძღვარისაგან რა სიკეთეს უნდა ველოდეთ: ჯერ გვაპატივა დრამა და შემდეგ სტრაჟნიკების საშვალებით კაპეიკობამდე აკრიფა. ყველა ამათ პატივისცემა უნდა და შენ იცი.

მართლა, ასლან ნიჟარაძესა და ივლიანე ნიჟარაძეს თუ ძმა ხარ ენა გაუსინჯე: თუ საჭირო დარჩეს მცირედი ოპერაცია გაუკეთე მათრახის კუდით.

**შენი სული**

—

**ხევიდან.** ძმაო ეშმაკო!

მსურს გაგანდო საიდუმლო და ფარულად შემინახე,
ან მე ტყვილა არ დამღუპო, ან თავს არ დაუგო მახე.

თებერვლის ბოლო რიცხვებში ჩამოთბა ამ ჩვენ მხარესა
თუმცა ღარიბი მცხოვრებნი დღეს განიცდიდენ მწარესა,
მოგვიახლოვდა დიდ-მარხვა, გავიდა ყველიერია
და გარეგნულად თითქმის რომ ყველამ იცვალა ფერია.
მაგრამ ჩვენს პედაგოგებსა დღესაც კი არა სცალია
„საჭირ ბოროტო" კითხვებსა ვერ აშორეს თვალია,
გაჩაღდა მიწერ-მოწერა სად შეიკრიბონ ერთადა
რომელი დაჰგმონ, გაჰკიცხონ, ან რა იწამონ ღმერთადა.
მოგროვდენ სტეფანწმინდაში ვით ამბობს მოწერილობა
და გააჩაღეს დუქანში სამაგალითო ყრილობა,
იქ მიიწვიეს რჩეულნი ვაჭარნი, აზნაურები
„ურიადნიკი", „სტარშინა" სულყველა „ნამსახურები".
გაშალეს სუფრა ქებული, ავთვალს არ ენახებოდა
(ვინ იცის ვისი ნაშრომით სად, ვინ და როგორ ძღებოდა!)
შესძახეს მრავალ-ჟამიერ ჯიხვების ადავერდითა
(კარგია, როცა „უჩიტელს" „სტარშინა" უზის გვერდითა!)
შემდეგ წავიდენ სოონში, იქ არ ვუოვილვართ ჯერაო,
(სიმართლეს გწერავ ეშმაკო! იქნებ შენ არა გჯერაო).
თან წაიყვანეს „ბელადიც" მასპინძლის სრული ნებითა
„კრებისაგან" მოწონებული ზოგიერთ წევრთა ქებითა.
როს შეზარხოშდენ, აქაცა, როგორც ჩვეულა „კრებული"
ცდასა შეუდგა: ბიჭობა ვის დარჩეს გამარჯვებული.
იშიშვლეს ბასრი მახვილი ქათმებზე სანადიროთა
და იმათ სიცილ-ხარხარზე ქათამთ პატრონი ტიროდა.
ზოგისა ბატი იმსხვერპლეს, ზოგისა ინდაურია
(ნუთუ იკადროს ეს კაცმა თუკი მას ქუდი ხურია?)
მაგრამ რას ვამბობ! დრო მეფობს და დრო კი შობავს ამასა;
აღზრდილი აღმზრდელს ძუძუს ჭრის შვილი არ ინდობს
მამასა.
და ესე მათი „ყრილობაც" დროს შესაფერათ გათავდა
(სადაა იგი კრებები „ერთობის' დრო რო მართავდა!!!)

**მთიელი.**

—

**სამტრედიის რაიონი.** ძმაო ეშმაკო! ერთი მიუჩოჩდი ღვთის გულისათვის ბ-ნ ჩოჩიას და მადლობა უთხარი. სწორეთ ღვთის ნიერი კაცია. აგერ ახლა 20 მუშა გაანთავისუფლა მუშაობისაგან; ხომ იცი ფიზიკური შრომა როგორ მავნებელია?!

ახლა ვგონებ სამუშაო დღე უნდა 10-დან 9 საათამდე ჩამოიყვანონ, მაგრამ იმედია ამას მუშები არ დაანებებენ. ერთობ და ფრიად პატივსაცემი კაცია, მაგრამ არც მე დამტოვებს უპატივცემულოთ თუ შეიტყო, რომ მე ვაქვეყნებ გაზეთებში მის ქველ-მოქმედებას ეს ისეთი სახარების კაცია, რომ ყველაფერი ჩუმათ უყვარს ე. ი. მისმა მარჯვენამ არ უნდა იცოდეს რას სჩადის მისი მარცხენა.

**ჩორთიკ.**

—

**სადმელი.** ეშმაკო! ძლიერ ვწუხვართ, რომ თქვენი ჩინებული საშვალება „სპერმაკუდინი“ სხვაგან დიდ ხმარებაში ყოფილა და აქეთ კი არ გვანახეთ. მე მგონია ჩვენი მღვდელი ბასისი კი არის იმის ღირსი, რომ თქვენი წამალი დააყვედროთ.

დრამა ფული აგერ რამდენი ხანია მობოჭა სტრაჟნიკების დახმარებით და თუ არღანზე ქეიფს არ დაუშლის გამოუგზავნე გენაცვალე ერთი ბოთლი ან ერთი ლიტრა „კუდინი“.

**რიონის პირელი.**

—

**ხონი.** ძმაო ეშმაკო! ამას იმიტომ კი არ გწერ, რომ შენი მათრახის კუდით ცხვრის ტყავიდან გამოსული „ამხანაგები“ ი. ბახ—ძე და გ. მა—ძე ისევე ცხვრის ტყავში შეაფრინო; არა პირიქით მე მინდა გავაფრთხილო ამხ. ნოქრები, რომ უფრო ფრთხილათ იყვენ შემდეგში.

აღნიშნული ახალ-მოვაჭრენი თუ წინეთ ნოქრებთან ერთად იბრძოდენ, დღეს სავაჭროს უქმე დღეებში დანიშნულ დროზე ადრე აღებენ და გვიან ხურავენ, ნოქარ-შეგირდებს უზომოთ ამუშავებენ, ღამით მაღაზიაში აწვენენ და სხვა, ასე რომ მათრახის კუდის პირველი კანდიდატები არიან.

**ნოქარი.**

—

**აბაშა.** თუმც, ძმობილო, იმას აქეთ
არ გასულა დიდი ხანი,
რაც „ჭეშმარიტ მეგრელებსა“
კუდით აუცხუნეთ კანი,
მაგრამ მაინც არ ცხრებიან
ეს უებრო რაინდები
და იმედი უნდა გვქონდეს
ერთ დღეს კვლავ გვეშაინდები.
სამათრახე ყმაწვილებში
ქებულია იულონი,
მაგრამ დოზა მათრახისა
თითონ უკეთ იცი მგონი,
უწინ ფერდი ფერდზე ჰქონდა
შიმშილისგან მინაკონი
დღეს კი დასტა დასტათ აძევს
სტომაქზედან ღიპი ქონი.

**ტუზი.**

—

**რკინის გზის მთავარ სახელოსნოდან.**

ძმაო ეშმაკ! დიდათ ვწუხვართ,
რომ ვერ გხედავთ ჩვენს ქარხნებში,
ალბათ ფიქრობ,—ახლაც ის ვართ,
რაც ვიყავით ოქტომბერში.

არა ძმაო, არ მოსტყუვდე,
გადაგვარდა მუშა ხალხი...
„სპერმაკუდინს“ გეფიცები
მოუხდება მათ მათრახი.

გთხოვთ მოხვიდე, ინახულო
ჩვენი „სბორი“ და „ტოკარი“
ზოგს ორ-ორი, ზოგს სამ სამი,
ზოგს ოთხ-ოთხიც გადაჭკარი.

თორემ საქმე ცუდათ მიდის,
მთლათ აებნათ გზა და კვალი
როგორც კვამლი, ისე გაქრა
აქ ,,ერთობის'' ნატამალი.

,,აკორდობას'' ეწევიან,
აგვდებიან სტანოკებსა
და თუ დროზე არ უშველე,
ვერ აუვალთ ,,ვენოკებსა''.

აქ შეგხვდება კაცი ვინმე,
ორმოცი წლის, თავ-ტიტველი
თუ ხათრი გაქვს გადაჭკარი
ერთი ზურგის ასაწველი.

შემდეგ კიდევ შემოგხვდება
შავ-წვერა და ტან საშვალო,
გთხოვ: ,,კუდინიც'' ჩაუღაპო
და მათრახიც მოუცვალო.

ცოტა მარცხნივ შეუხვიე
იქ იხილავ გორგოლაჭებს
და მცირეს თუ წაუცხუნებ,
ისტორია დაგათვასებს.

მერმე უკან მოიხედავ,
წაადგები თავზე ნიკოს
და კუდინს თუ ჩაუღაპებ,
მადლიერი თითონ იყოს.

იქვე ნახავ უძლურებსა,
სურვილი აქვთ ძლიერების
მკლავის დონეს შენატრიან
მისაბეგვათ ავტორების.

ნუ დასტოვებ უმადურათ,
ეს ,,გმირებიც'' განიკითხე
თითო ბოთლი დაუტოვე
შენი სამკურნალო სითხე.

თუ ბევრია და არ შეხვდა,
ეს იქნება ძმავ ვაგლახი
მაგრამ, ,,ჩორტ სნიმ'', ძველებურათ
გადაჭკარი მათ მათრახი.

,,**სბორნი**'' **ცეხი** არ დასტოვო,
თუმც საქმეა აქ საშიშო
და პირველათ ვინც შეგხვდება,
მაღალია, ჭკვიან მიშო.

შემდეგ მარცხნივ შეუხვიე,
გამონახე აქ ივანე
,,სპერმაკუდინი'' მიართვი,
სულერთია თეთრი, მწვანე.

მარჯვნისკენ თუ მიიხედავ,
დაინახავ ზუბოტიკინს
და კარგს იზამ, თუნდაც ჭიქით,
მიართმევდე სპერმაკუდინს.

იქვე კარებს დაინახავ,
შეაღე და გაჰკარ კბილი,
მათრახი გაუშუილე
და შესძახე: გეყოთ ძილი!..

დაღლილობა თუ არ დაგძლევს
და შეუხვევ „**მედნიკებში**“
იქაურებს ეგ „კუდინი“
არ ეყოფათ თითო თეფში.

**მექვაბენიც** ინახულე,
არც ეს არის თლა სახუმრო
და ეცადე ზოგიერთებს
ზურგი კარგათ შეუხურო.

**მჭედლებისკენც** ჩაიარე
არც ის არ დასტოვო ვინძლო,
„აკორდი“ რომ გაუთავდათ
ანუგეშე რაც შეიძლო.

ახლა მინდა გავათავო,
ალბათ შენც კი დაიღალე,
და რაც დაგვრჩა უფრო მწყობრათ
მოგახსენებ დღეს თუ ხვალე.

**ალ. ზაგლობა.**

# მოხსენება

ქუთაისის რევიზიისა.

(გაგძელება)

როგორც მონდობილი მქონდა, მე შევუდექი ქუთაისის მახლობელ რაიონების რევიზიასაც. დავაგზავნე სხვა და სხვა ალაგებში ჩემი თანამშრომელნი და შემდეგი ნომრისათვის შევეცდები მათი მოხსენების მოწოდებასაც.

**ინვალიდთა თავშესაფარი.**

თუ გეგულებათ მაქეთ ვინმე დაუძლურებული „ჭეშმარიტი ქართველი“ (ახალ ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგ. გამგეობაში მაგვარი, მგონი, ბლომათაა) გთხოვთ გამოაგზავონთ. ადგილს აუცილებლათ მოუნახავენ აქაურ ინვალიდთა თავშესაფარში, ე. ი. შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოში. საჭიროა, რომ დაუძლურებულს კაი ატესტაცია ქონდეს ვ. გუნიასაგან და შეეძლოს თვეში ერთხელ მაინც, ახალ მთვარესავით, გამოჩნდეს საბჭოს შენობაში. საქმის გაკეთების უნარი ზედმეტი ბარგია.

**ქართველ ყრმათა მამების საყურადღებოთ.**

თუ ვინმეს რაიმე საქმე აქვს სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, ვურჩევთ მიმართონ სკოლის გამგის, იოსებ ოცხელის ობერ ადიუტანტს, მეშვიდე კლასის მოწაფეს სერგო ჟორჟოლიანს. მისაღებ თხოვნებსაც ის იღებს.

**ბულვარის ტანჯვა.**

მგონი არცერთ პოლიტიკურ დამნაშავეს არ გადახედია იმდენი გაჭირვება, რაც ქუთაისის ბულვარმა განიცადა. ჯერ იყო და დიდი რეაქციის დროს ერთი წლით მიახურეს. გარდა ჩინოსნებისა შიგ სიარულის ნება არავის ქონდა. შემდეგ ისევ გახსნეს. ეხლა ხელახლა გამწყრალან მაზე და ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, შეესევიან ჩვენი მფარველი ანგელოზები, რომ კარები გამოუხურონ და ზოგიერთს კი ბექნი უხურონ.

**დუელის შედეგი.**

დუელი ქუთათურ შანტაჟისტებსა და გვაზავას პაციენტის შორის, უკანასკნელის დამარცხებით გათავდა. შენ თვითონ გასინჯე: მას აქეთია, რაც აქ ჭიათურის გმირი თავისი აჭარლებით დაბინავდა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ შანტაჟისტური რამ აქ აღარ მოხდებოდა. მაგრამ დახე უბედურებას, ქუჩიდან განდევნილ შანტაჟს უჩინმაჩინის ქუდი დაუხურავს და ჩვენ საკათედრო სობოროში ამოუყვია თავი. იქ ჩამძვრალა მაგრათ დაკეტილ ყუთში და რაღაც სასწაულის ძალით იქიდან ორი ათას მანათათ ღირებული ოქრო-ვერცხლი გაუტაცნია. მღვდლები თავქუდ მოგლეჯილი დაეძებენ შანტაჟისტს, მაგრამ ვერას გახდენ. პარაკლისის გადახდას აპირებენ.

**ქალაქის თავის მოადგილე ლოგინათაა ჩავარდნილი.**

„შრომის“ გამოცემამ დიდი ზარალი მოუტანა ქუთაისს. ერთი საუკეთესო მისი პატრონთაგანი ლოგინათ ჩააგდო და ჯერაც ვერ ამდგარა. ქალაქის მოადგილეს იაკობ ფანცხავას ერთი დიდი ცუდი სენი ჭირვებია: რაი ლიტერატორობას მიყოფს ხელს, მისი აგებულება ნორმალურათ ვეღარ ცხოვრობს და იხრწნება. ასე მოხდა დღესაც. მოქალაქეები ძლიერ შეწუხებულნი არიან, ნამეტნავათ ვაჭრები — საუკეთესო ლიდერი მოგვაკლდაო. დელეგაციის გაგზავნას აპირებენ იაკობთან, ეგებ წერას თავი დაანებოსო. დარწმუნებული ვართ თხოვნა გასჭრის, რადგან „შრომას“ პეტრეს, სილოვანის, დათიკოს და სამიოდე წვრილფეხა ფედერალისტის მეტი არავინ კითხულობს.

**მეორეთ მოსვლა — კარზეა მომდგარი.!!**

ძლიერ ცუდათაა აქაურ რეალურ სასწავლებლის საქმეები. ისედაც სწავლაზე, გულაცრუებული მოწაფეები სულ გადარია დექ. ცაგარლის ქადაგებამ. პატივცემული დეკანოზი დაჟინებით უმტკიცებს ახალგაზრდებს, რომ მეორეთ მოსვლა კარზეა მომდგარიო. მოსვლის ნიშნებსაც აღნუსხავს ხოლმე. საბრალო მოსწავლენი სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილნი.

**მკერავები გამარჯვებას დღესასწაულობენ.**

რადგან მკერავების ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა და მუშები მათმა მჭერმეტყველობამ სწორ გზაზე ვერ დააყენა, მათ მიუმართავთ უკიდურეს საშუალებიზა. ადმინისტრაცია ჩაურევიათ საქმეში და მისი მეოხებით ხელწერილი ჩამოურთმევიათ მუშებისათვის ხაზეინების მონურ პირობებზე თანახმა ვართ და ვუდგებით მუშაობასო. ასეთ სასიქადულო გამარჯვებას დიდ აღტაცებაში მოუყვანია ალები. ვნახოთ, მუშები შეასრულებენ თუ არა ამგვარ ვალდებულებას. მუშაობა ჯერ არ დაუწყიათ.

**რევიზორი-ეშმაკი.**

# ეფისკოპოზის სიზმარი.

(გაგრძელება. იხ. „ეშმ. მათრ." № 21)

(კარი გაიღება, შემოვა ცოტა ქალარა შერეული ლამაზი მღვდელი და ეფისკოპოსს მდაბლად თავს დაუკრავს).

**მღვდელი.** მაკურთხე, ყოვლად სამღვდელო!

**ეფისკოპოზი.** შენ კურთხევის ღირსი არა ხარ, შენ ჩირქსა სცხებ მაგ ანაფორას.

**მღვდელი.** რისთვის მირისხდებით, ყოვლად სამღვდელო? უთუოთ ბოროტმა ენებმა დამასმინეს ცუდათ თქვენს მეუფებასთან.

**ეფისკოპოზი.** დაგასმინეს, დაგასმინეს! ბოროტმა ენამ კი არ დაგასმინა, შენმა საკუთარმა მოქმედებამ დაგასმინა. ეშმაკის გზას შესდგომიხარ, შე უბადრუკო შენა. მე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი! ჩემს სამწყსოში ვინ როგორი მღვდელია, მე კარგათ ვიცი, კარგათ.

**მღვდელი.** (გვერდზე) ჩემზე ნაკლები მამაძაღლი არც შენა ხარ შვილოსა. (ეფისკოპოზს) ყოვლად სამღვდელო, მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის აღც ღვთის, არც თქვენი მეუფებისა და არც ჩემი მრევლის წინაშე.

**ეფისკოპოზი.** არ მიგიძღვის, არა! (მაგიდის უჯრიდან ქაღალდებს ამოიღებს, გადაშლის და შემდეგ) მთვრალი და გალეშილი რამდენჯერმე გზაში უნახავხართ. ერთხელ, მთვრალი ცხენს გადმოუგდიხარ და ღორივით ტალახში გიგორავნია! (შეაჩერდება მღვდელს).

**მღვდელი.** ყოვლად სამღვდელო, სრული ცილის წამებაა. როგორც ღმერთს, ისე თქვენს მეუფებას ვერ მოვატყუებ, დამილევია ბევრჯელ, მაგრამ ისე კი არა, რომ გონება დამეკარგოს და ცხენზე ველარ დავმაგრებულიყო. სოფლის ცხოვრება თქვენც კარგათ უწყით თუ სოფლის ქირვარამი არ გავიზიარეთ, ხალხი გლახა თვალით გვიყურებს, სარწმუნოებაზეც გული უცრუვდება. ამიტომ ბევრჯელ დალევაც შეგხვდება, დათრობაც, რადგანაც ამას სოფლის ჩვეულება ითხოვს. საკურთხიც თუ მოვსპეთ, საწირავიც, სატირალიც, საორმოცეც და წლის თავიც, ხალხი მთლათ გაირყვნება თუ არა და ზოგან რომ მეტის დალევა არ შეგხვდეს, არ მოხერხდა.

**ეფისკოპოზი.** დალიე, მაგრამ განა არ შეიძლება, რომ მთლათ არ გაილეშო?

**მღვდელი.** ცილის წამებაა, ყოვლად სამღვდელო. თორემ ყველგან მე მირჩევენ ტოლიბაშათ და ღვინის სმა თუ აღარ ვიცი, აბა სხვა რა ვიცი? იმდენი თქვენმა მეუფებამ იცოცხლოს, რამდენი კაი მსმელისათვის მე კისერი მომეგრიხოს და გამეგორებიოს. მაგრამ მტრები მყავს, მეუფეო, მტრები და ისინი მასმენენ თქვენთან ცუდათ.

**ეფისკოპოზი.** ესეც მტრების საქმეა, რომ ხალხს ტყავს აძრობ და ოცდახუთ მანათ ნაკლებ არავის სწერჯვარს! (ქაღალდში ჩასჩერებია) აი ერთხელ შიგ საკურთხეველში ჩაგიკეტია კარები და, სანამ ხელში არ ჩაუთვლიათ ფული, ჯვარი არ დაგიწერია.

**მღვდელი.** ყოვლად სამღვდელო! ზოგს მეტსაც ვართმევ. თქვენმა მეუფებამ რომ მე მღვდლათ მაკურთხა, ორმოცი თუმანი სამონასტრო გადავიხადე და თუ ხალხს არ გადავახდევინე, საიდან ვიშოვო? ღმერთი ხომ არ გადმომიგდებს მაღლიდან?

**ეფისკოპოზი.** განა არ შეიძლება ისე გადაახდევინო, რომ ქვეყანამ არ გაიგოს და სალაპარაკოთ არ გახდეს? (ქაღალდში ჩასჩერებია) ეს რაღა ღვთის რისხვაა? ყანაში წაუსწრიხართ ქალთან. (შეაჩერდება მრისხანეთ).

**მღდელი.** უსათუოთ ავათმყოფის საზიარებლათ მივყავდი და ყანაში ქვაზე ჩამოვჯექით შესასვენებლათ.

**ეფისკოპოზი.** ქვაზე კი არ მჯდარხართ, დაწოლილი უნახავხართ, შე უბადრუკო შენა, მაშ, დაწოლილი!

**მღდელი.** თუნდა ხატზე დაგიფიცამ, ყოვლად სამღვდელო, რომ ცილის წამებაა. (განზე) დაესხათ თავსლაფი, შეშლიათ. ტყეში კი ხშირათ, მაგრამ ყანაში არასოდეს. ტყე კარებზე მაქვს და რაღა ყანაში გავსწევდი! (ეფისკოპოზს) რაკი ცოლი მომიკვდა, მას აქეთ ყოვლად სამღვდელო, ჩემს თავს წმინდათ ვინახამ. (განზე) როგორც შენ ინახამ წმინდათ შენს თავს, მეც ისე ვინახავ.

**ეფისკოპოზი.** აა, ქვრივი ხარ? სულ მართალია, სულ! (შეაჩერდება) შენივე თვალები გამტყუნებენ, შე ეშმაკის კერძო!

**მღდელი.** (განზე) ნამდვილათ ამაღლეტს ას მანათიანს. ისევ სჯობია გულწრფელათ გამოვტყდე, იქნება უფრო იოლად გადავრჩე.

**ეფისკოპოზი.** თუ ცოდვა გაგიდიდდა, შე უბედურო, და ეშმაკმა აგიყოლია, რაღა ყანაში მიდიოდი საქვეყნოთ? სახლში ველარ დაეტიე? ჰა?

**მღდელი.** ყოვლად სამღვდელო, შემინდე, მაპატიე! (დაჩოქებს და უნდა ხელზე ემთხვიოს)

**ეფისკოპოზი.** იქით წადი, შე ცოდვილო, არ მომეკარო, არ გამსვარო, შე ეშმაკის ლუკმა. დაივიწყე ღვთის მცნება და გადუდექი ქრისტეს?

**მღდელი.** (დაჩოქილი) ტყეში ხის მოსაჭრელათ გიახელით და სტორეთ ეშმაკი მომევლინა ქალის სახით. შემიჩდა, აღარ მომასვენა. დაჩვეული კაცის ამბავი ხომ მოგეხსენებათ; ხუთი წელიწადია, ქვრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი გახლავართ. ველარ გავაჩერე ეს ოხერი გული და გამიწყრა ღმერთი.

**ეფისკოპოზი.** (რომელიც გაფაციცებით უგდებდა ყურს) ლამაზი იყო ის შეჩვენებული?

**მღდელი.** დაღირსებულ კაცს ხანდახან ძროხაც ქალათ მოეჩვენება, ყოვლად სამღვდელო! გულახდილათ ვაღიარე ჩემი დანაშაული და მაპატიეთ, შემიბრალეთ.

**ეფისკოპოზი.** (განზე). ამის ადგილს იმ მთავარს მივსცემ. (მღვდელს) ანაფორა უნდა გაიხადო, შენ ღირსი არა ხარ მაგის ტარებისა.

**მღდელი.** ყოვლად სამღვდელო, ნუ გამამჭრი ყელს, ნუ დაღუპავ ჩემს ობლებს. (განზე) ეს რა მიქარვა მამივიდა, რაზე გამოვტყდი? ხომ ვიცოდი ამისი გაუმაძღარი მუცელი! ასი მანათით კიარა ნეტა ორასით გადავრჩებოდე ახლა.

**ეფისკოპოზი**· ანაფორა უნდა გაიხადო, გესმის? საკურთხეველი ეშმაკების სადგომი არ არის; შენისთანა ცოდვილნი უნდა განიდევნონ აქიდან.

**მღვდელი.** მონასტერში გამგზავნეთ, ფული გადამახდევინეთ და მომხადეთ თქვენი რისხვა, ნუ დამღუპავთ მთლათ.

**ეფისკოპოზი.** (გულმოსული წამოდგება და დადის ოთახში, შემდეგ მიუბრუნდება მღვდელს, რომელიც დაჩოქილი თვალებს არ აშორებს ეფისკოპოზს). ადექი შე უწმინდურო, ადექი. შენისთანა ცოდვილი სიბრალულის ღირსი არ არის, მაგრამ მე მაინც მებრალები. (მღვდელი ადგება) ორასი მანათი მომიტანე მონასტრისათვის და მიპატიებია შენი შეცოდებანი, ღმერთიც გაპატიებს. ეკლესიაში რომ შეხვიდე, ალსავლის კარებთან ასი მეტანია ჰქენი.

**მღვდელი.** ყოვლად სამღვდელო, ღირსი არ ვარ თქვენი მოწყალების, ის კიარა ორას მეტანიასაც გავაკეთებ, მაგრამ აწი თუ კიდევ მოგივიდესთ ჩემზე დანოსი, ნუღარ დაიჯერებთ.

**ეფისკოპოზი.** (განზე) ეს სამერმისოთ იკეთებს საქმეს, როგორცა ვხედავ. (მღვდელს) ნუღარ იმრუშებ და აღარც არავინ დაგასმენს ჩემთან. (მღვდელი ხელზე ემთხვევა და მიდის) ორი კვირის ვადა მომიცია ფულის მოსატანათ.

**მღვდელი.** (შეჩერდება და გამოტრიალდება). მოგართმევთ, ყოვლად სამღვდელო! (გატრიალდება) ის კი ვიცი, ვინც მე მიდანოსა და ვუტირებ დედას. მისთანა დანოსს დავუწერ, რომ ხუთასი მანათითაც ვერ გადარჩეს და მაშინ საცა თავისი დაიკვეხოს, იქ ჩემიცა სთქვას. (გადის. ეფისკოპოზი ქალალდებს უჯრაში ინახავს. შემოვა სამი გლეხი და მდაბლათ თავს დაუკრავენ).

**ერთი გლეხი.** გვაკურთაე მეუფეო!

**ორი გლეხი.** (ერთად) გვაკურთხე, მეუფეო!

**ეპისკოპოზი.** (ხელს გაუშვერს. გლეხები მოწიწებით ემთხვევიან) რა საქმე გაქვთ ჩემთან?

**პირველი გლეხი.** ჩვენ თქვენო აღმატებულ... (შეჩერდება) უკეთილშობილებავ (შეჩერდება).

**მეორე გლეხი.** (წასჩურჩულებს) მაღალკურთხევა.

**პირველი გლეხი.** ჩვენ, თქვენო მაღალკურთხევა მეუფეო, სოფელმა გამოგვაგზავნა. ის რაღაც ღვდელი რომ დაგვინიშნეთ, არ გვინდა, ბატონო!

**მეორე და მესამე.** (ერთად) სწორეთ არ გვინდა, ბატონო!

**ეპისკოპოზი.** რატომ არ გინდათ? რატომ?

**პირველი გლეხი.** რატომ და იმიტომ შენი ქირიმე, რომ...

**მეორე.** (წასჩურჩულებს) შენი ქირიმე კი არა მაღალკურთხება უნდა.

**პირველი გლეხი.** იმიტომ შენო მაღალკურთხება ბატონო, რომ სოფელი აბუნტა.

**მეორე და მესამე.** (ერთად) მთელი სოფელი აბუნტა, თქვენო მაღალკურთხევა უფალო!

**ეპისკოპოზი.** რითი აბუნტა, რა ჩაიდინა ამისთანა?

**პირველი გლეხი.** რითი აბუნტა შენი ქირიმე და...

**მეორე.** (გააწყვეტიებს და წასჩურჩულებს) რა ღმერთი გიწყრება, მაღალკურთხება უნდა. შენი ქირიმეს რომ ეუბნები, ბიძა შენი ხომ არა გგონია?

**პირველი.** იმითი აბუნტა, შენი ქირიმე... აი დალახვროს ეშმაკმა, აკი წამამცდა კიდევ. იმითი აბუნტა, შენო მაღალკურთხება, რომ ხატი არ არიო, საკურთხი არ არიო, ღმერთი არ არიო. (შედგება).

**მეორე გლეხი.** ქრისტე არ არიო, თქვენო მაღალკურთხება, ღვთის შობელი არ არიო, ნათლობა რა საჭიროავო.

**ეფისკოპოზი** თქვენ რომელი სოფლიდანა ხართ?

**გლეხები.** (ერთად) ზედაუპნიდან გახლავართ (აქ პირველი და მესამე მიუმატებენ: შენი ქირიმეს, მეორე კი დაიძახებს: თქვენო მაღალკურთხებაო და თავმომწონეთ გადახედავს ორივე გლეხებს, რომლებიც იმის შემდეგ ხმამაღლა გაიმეორებენ: თქვენს მაღალკურთხება-ს).

**ეფისკოპოზი.** (დაფიქრდება და შემდეგ) თქვენს სოფელში ერეკლე რევიშვილი უნდა იყოს მღვდლათ.

**პირველი და მესამე გლეხი.** დიახ, ბატონო.

**მეორე.** დიაღ თქვენო მაღალკურთხება.

**პირველი და მესამე.** (იმეორებენ) დიახ, თქვენო მაღალკურთხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მეორე.** რევიშვილია, თქვენო მაღალკურთხება და ღამის მთელი სოფელი გადარიოს. დიდი და პატარა, ქალი და კაცი ჩვენში ახლა მარხვასა სჭამს.

**ეფისკოპოზი.** იქითა კვირეში მე სარევიზიოთ მოვდივარ. როცა თქვენში გამოვივლი, მაშინ ყოველისფერს დაწვრილებით გამოვიკვლევ და თუ ეგ ყველაფერი მართალი აღმოჩნდა, ანაფორას გავაძრობ, იმ ურწმუნოს, იმას. (გლეხები თავს უკრავენ, ხელზე ემთხვევიან და მიდიან. შემოვა მოხუცებული მღვდელი. ისა და გლეხები ერთმანერთს შეხვდებიან).

**მეორე გლეხი.** მამაო ალექსი, იმ თითო თუმანს გარდა უნდა ძაან დაგვალევინო,—კარგათ მიდის საქმე.

**მღვდელი.** რა გითხრათ ეფისკოპოზმა, რა!

**გლეხები.** რა გვითხრა და სულ გავკრეჭაო.

**მღვდელი.** (ჩაიცინებს) აბა გარეთ მომიცადეთ. (გლეხები გადიან, მღვდელი წინ წამოდგება) მაკურთხე, მეუფეო!

**ეფისკოპოზი** (რომელიც თავჩაქინდრული და ჩაფიქრებული იჯდა) ოო, მამა ალექსი, მამა ალექსი (ხელს გაუშვერს, მღვდელიც ემთხვევა) სადახარ აქამდინ? რათ დამივიწყე?

**მღვდელი.** დავბერდი, ყოვლად სამღვდელო, აღარ შემიძლია შორს სიარული. ახლაც ღვთისა და თქვენმა სამსახურმა მამიყვანა.

**ეფისკოპოზი.** აბა დაჯექი და მამიყევი, რა გინდა.

**მღვდელი** (ჩამოჯდება). გაირყვნა ხალხი, ყოვლად სამღვდელო, გაირყვნა. თქვენმა სიცოცხლემ, წინეთ საკურთხი კვირიდან კვირამდე შეუფენდა ოჯახში; ცხვრის ბეჭებს ჩემს სახლში ძაღლები სჭამდენ, ძაღლები, ყოვლად სამღვდელო, ახლა ნახევარმა მთლათ მოგვისპო საკურთხი და ვისაც მოაქვს, ისიც პირში არ ჩეიშვება. წინეთ თავი ღვინო მოქონდაო საკურთხათ და ახლა წყალმაჭარა!

**ეფისკოპოზი.** გული არ უნდა გაგიტყდესთ, გული. სამღვდელოება მტკიცეთ უნდა ადგეთ ღვთის საქმეს და ურწმუნოთა შემუსვრას მალე ნახავთ.

**მღვდელი.** მაგაში დარწმუნებული ვარ, ყოვლად სამღვდელო, მარა გულს ის მიკლავს, რომ წარმართობამ სამღვდელოებაშიც იჩინა თავი.

**ეფისკოპოზი.** როგორ თუ წარმართობამ?

**მღვდელი.** რაღა როგორ, ყოვლად სამღვდელო? თქვენ რომ ზედაუბანში რევიშვილი აკურთხეთ, პირველი სოციალ-დემოკრატია ყოფილა.

**ეფისკოპოზი** აბა მითხარი, მითხარი, თუ იცი რამე იმ რევიშვილზე.

**მღვდელი.** საკურთხი აუკრძალა ხალხს, საჭირო არ არისო. თუ იმისთვინ არ არის საჭირო, ჩვენთვინ არის საჭირო: ყოველ შაფათს იმხელა ხურჯინს ავკიდებდი ხოლმე ჩემს ჯორს, რომ წელ ჩაზნექილი მიდიოდა სულ და ახლა ხურჯინი კი არა აბგაც ველარ ავკიდე. ამას წინეთ ხალხისთვინ ექადაგა: ქრისტე ღმერთი კი არა, ადამიანი იყოვო. პირველი სოციალისტი და რევოლუციონერი ის იყო და ამიტომ აცვეს ჯვარსო.

**ეფისკოპოზი.** (თავს აქნევს) ჰაი ის ეშმაკის კერძი ისა.

**მღვდელი.** ამას თავი დაანებეთ, ყოვლად სამღვდელო! მარხვა სისულელეაო, გინდა ლობიო, ჰამე გინდა ხორციო, ღვთისათვის სულ ერთიაო.

**ეფისკოპოზი.** (თავის ქნევით) ჰაი ის ეშმაკის შვილი ისა!

**მღვდელი.** რამდენჯერმე უნახავთ, რომ ოთხშაფათ პარასკევი უჭამია.

**ეფისკოპოზი.** (წამოხტება და ხელს მაგიდაზე დაარტყამს. მღვდელიც წამოხტება) ეს მეორეთ მოსვლის ნიშნებია სწორეთ. (დაჯდება)

**მღვდელი.** სწორეთ, თქვენო მეუფებავ, სწორეთ. (დაჯდება) ახლა ამას ისიც დაუმატეთ, რომ წვერსა და თმას იკვეცამს.

**ეპისკოპოზი.** მაგისთანა ღვთის რისხვა სამღვდელოებაში დასაყენებელი არ არის.

**მღვდელი.** სწორეთ თქვენო მეუფებავ, სწორეთ თუ ის მღვდლათ დარჩა, ხალხი ისეც გაირყვნა და მთლათ გაირყვნება.

**ეპისკოპოზი.** იქით კვირეში სარევიზიოთ მოვდივარ და მაშინათვე გადავაყენებ, მაშინათვე.

**მღვდელი.** ყოვლად სამღვდელო, თქვენი წყალობა მე არ მაკლია და ჩემი შვილი მიტროფანე, მთავრათ რომ არის ერკეთში, იმის ალაგას მიკურთხეთ. მორჩილი, ყოვლად პატიოსანი და ღვთის მავედრებელი კაცია, თორემ ჩემის შვილობით არ ვაქებ.

**ეფისკოპოზი.** (ფიქრის შემდეგ) ის ჯერ ახალგაზრდა კაცია, სხვების რიგია ცოტა მოიცადე.

**მღვდელი.** სამონასტრო ფულს რა დღესაც უბრძანებთ, იმ დღესვე მოგართმევთ.

**ეფისკოპოზი.** (ფიქრის შემდეგ) აბა მოემზადოს, მოემზადოს და ვაკურთხებ. შენი შვილი რომ არის, იმიტომ, თორემ სხვებსა აქვთ ნათხოვი.

**მღვდელი.** თქვენი მოწყალება ნუ მამიშალოს მამაზეციერმა. (ხელებს აღაპყრობს მაღლა შემდეგ ეფისკოპოზს ხელზე ემთხვევა) აწი აღარ შეგაწუხებთ (მიდის).

**ეფისკოპოზი.** კალმახი გამომიგზავნე, კალმახი, საზზობოთ.

**მღვდელი.** (გამობრუნდება) თქვენი წირვის მადლმა, სულ ცოცხალს მოგართმევთ (გატრიალდება და გავა).

**ი. გომართელი.**

(შემდეგი იქნება)

## ა დ ე ს ა შ ი.



**დვორნიკი.** გვიან მიხვდენ კარების დაკეტას, თორემ რევოლიუცია სად იქნებოდა!

## წერილები რედაქციის მიმართ.

„ეშმაკის მათრახის“ მე-18 ნომერში მოთავსებული იყო წერილი სოფ. ლაღიშიდან, „რიონის პირელის“ ფსევდონიმით. ბ-ნი რიონის პირელი გვეხება მე და მამა ჩემს, თითქო სოფლის წინაშე რაიმე დანაშაული მიგვიძღოდეს.

სამართლიანობა მოითხოვს ბ-ნმა რიონის პირელმა დაგვისახელოს, რა დანაშაული მიუძღვის მამაჩემსა და ან მე სოფლის წინაშე. ამიტომ იმედი მაქვს ახლო მომავალში ლადიშელი კორესპოდენტი გვაცნობებს ჩვენს დანაშაულს და მით საშვალებას მომცემს თავი გავიმართლო.

**ნიკ. ფოფხაძე.**

—

„ეშმაკის მათრახის“ 20 ნომერში მოთავსებულია წერილი სუფსის რაიონიდან კასიოს ფსევდონიმით. წერილში ნახსენებია მ ჩაბილი და კომახიძე, მაგრამ არ არის აღნიშნული მათი სახელები, რასაც ადვილათ შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მკითხველები, რადგან მაჩაბლები და კომახიძენი ჩვენში მრავლად არიან. გთხოვთ სახელი დაგვისახელოთ *).

**აფრიკა.**

*) მოგართმევთ. ეშმაკი.




## „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.

**მმტეხი** გიორგი ჯავროვს. თქვენი ლექსი „უდანაშაულო ტუსაღის ცხოვრება“, მიუხედავათ ამ მშვენიერი კუპლეტისა:

„თუ ხარ მეტეხის ციხის ტუსაღი
უნდა იცნობდე შენ გრიგოლ ჯავროვს,
მიდი და ჰკითხე ზრდილობიანათ,
(უზრდელ კითხვაზე ძალიან ჯავრობს“),

რედაქციას არ შეუძლია მოათავსოს. რამეთუ მაშინ ჩვენ რედაქტორსაც მეტეხში დასჭირდება მიკითხვა და ისიც ზრდილობიანათ.

**ბაქო.** სინათლეს. შეიძლება ყვირილის დეპოს უფროსი მართლაც ქვემძრომი კაცია და ლაქუციც უყვარს; შეიძლებ მანტიორი ლაპტიევიც არ არის საიმედო და ჭეშმარიტი პატრიოტია; შეიძლება სოსელიაც მატყუარა და გამოსოციალისტებული კაცია, მაგრამ არც თქვენი ლექსია დასაბეჭდათ მოსახერხებელი. თუ ლექსის წერა გეძნელებათ, რა გიჭირდათ პროზათ დაგეწერათ.

**იანეთი.** შ. ქაჩალს. ჩვენ გვყავს სამტრედიის რაიონში განსაკუთრებული კორესპოდენტი, რომელსაც ვავალებთ ხოლმე ამბების შემოწმებას, ისე ვერ დავბეჭდავთ.

**ყვირილა.** მესკიას. თქვენი „სიზმრის“ ვერაფერი გავიგეთ. რა გინდოდა გეთქვათ, ან რათ დაარქვით სიზმარი ეშმაკმაც ველარ გაიგო. არ იბეჭდება.

**ოზურგეთი.** გამვლელს. კარგი, ვსთქვათ სოფიოს შეგირდები ჭრა-კერვის მაგივრათ არშიყობას სწავლობენ, მაგრამ თქვენ რომ იწერებით „უცხუნეთ და უცხუნეთო“ არც ეგრე შეიძლება მათრიხის კუდის გაიაფება.

**სუფსა.** კ. ორჯონიკიძეს. თქვენ წერილს, რომლითაც სამედიატორო სამართალში იწვევთ სუფსელ კორესპონდენტ „კასიოს“, ვერ ვბეჭდავთ; მიზეზი გახლავთ თქვენი სურვილი: „წერილის შეუცვლელად დაბეჭდვა“.

**ლაილაში.** ნ. ჯანუაშვილს. თქვე დალოცვილო თუ ამდენი აღარ შეგეძლოთ რაღაზე შეაწუხეთ ქვეყანა. პასუხის მოცემამდე ქუთაისიდან წერილს წერილზე გვიგზავნიდით და თფილისში ჩამოსასვლელად ფხრები აწყობილი გქონდათ. ახლა კი გამომდგარხართ და ლაილაშისკენ იწვევთ ბ-ნ ოტსტავნოის თავისი მედიატორებით. ეს სამართლისაგან გაქცევას ნიშნავს. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ არა გაქვთ საბუთი ოტსტავნოის „ნიღაბის“ ახდა მოსთხოვოთ. მშვიდობით.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.



სინათლით შეშინებულნი.

ელქტრომბეჭდავი „შრომა“, ამხანაგობისა